## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-785

15/08/2019

ქ. თბილისი

**,,თბილისის მუნიციპალიტეტში, შპს ,,ჯი ემ ჯის“ მდინარე მტკვარზე 11,26 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (დიღომი ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ”**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს ,,თბილისის მუნიციპალიტეტში, შპს ,,ჯი ემ ჯის“ მდინარე მტკვარზე 11,26 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (დიღომი ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N79 (09.08.2019წ.);
2. შპს “ჯი ემ ჯი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის N79 (09.08.2019წ.) შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,ჯი ემ ჯის“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,ჯი ემ ჯის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი